


ბალანსგარეშე ანგარიშებზე მცირეფასიანი საგნების გადატანა

სისტემაში შესაძლებელია მცირეფასიანი საგნების გადატანა ბალანსგარეშე ანგარიშზე ორი მეთოდით:

1) როდესაც ბალანსგარეშე ანგარიშებზე მცირეფასიანი საგნების გადატანასთან ერთად გსურთ აღრიცხოთ პასუხისმგებლები. ასეთ შემთხვევაში გამოიყენეთ ოპერაცია „ჩამონერილი ბალანსგარეშე ანგარიშებზე პასუხისმგებელი პირების თანხლება“

2) როდესაც გესაჭიროებათ ბალანსგარეშე ანგარიშებზე მხოლოდ მცირეფასიანი საგნების გადატანა და არ გსურთ პასუხისმგებლების განსაზღვრა. (გაეცანით ამ დოკუმენტაციას)

განვიხილოთ მე2 მეთოდი დეტალურად. ამისათვის აუცილებელია ბალანსგარეშე ანგარიშზე გადასატანი მცირეფასიანი საგნები ჩამონეროს ხარჯებში [მენეჯერული აღრიცხვა/ჩამონერის ოპერაცია]. ხოლო შემდგომ ჩამონერის ოპერაციაში არსებული საგნები, გადავითანოთ ბალანსგარეშე ანგარიშებზე. ოპერაციის შესასრულებლად ეკრანის მარცხენა მხარეს განთავსებული მენიუდან აირჩიეთ: „ბუღალტერია/მაკრო ოპერაციები/ოპერაციები ბალანსგარეშე ანგარიშებზე“



აირჩიეთ ოპერაცია „ბალანსგარეშე ანგარიშებზე მცირეფასიანი საგნების გადატანა“ იხილავთ ეკრანს:

მაკროსი (ბალანსგარეშე ანგარიშებზე მცირეფასიანი საგნების გადატანა)

აირჩიეთ ჩამონერის ოპერაცია

ოპერაციის თარიღი
26.04.2021

დოკუმენტის ნომერი

ღირებულების ცენტრი

კომენტარი

<< წინ შემდეგ >> დასასრული შევწყვიტოთ


როგორც უკვე აღვნიშნეთ მცირეფასიანი საგნების ბალანსგარეშე ანგარიშებზე გადასატანად საგანი ჩამონერილი უნდა იყოს ხარჯებში. ანუ სისტემაში უკვე უნდა არსებობდეს საგნების ჩამონერის ოპერაცია და გამოსულ ეკრანში უნდა ავირჩიოთ ის ჩამონერის ოპერაცია, რომლის შესაბამისი საგნებიც გადადის ბალანსგარეშე ანგარიშებზე. ამისათვის ეკრანის ზედა ნაწილში დააჭირეთ ღილაკს „აირჩიეთ ჩამონერის ოპერაცია“.

ჩამონერის ოპერაციები


აქვს გატა	გაი	დო. დას	დოკუმენტი ს თარიღი	დოკუმენტი ნომერი	ღირებულების ცენტრი	კომენტარი	მომხმარებელი	განყოფილება
<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	10.01.2021 ...	2	საერთო ღირებულების ცენტრი	ჩამონერილი ბალ...	sa	ადმინისტრატ
<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	12.01.2021 ...	3	საერთო ღირებულების ცენტრი		sa	ადმინისტრატ
<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	26.04.2021 ...	4	საერთო ღირებულების ცენტრი		sa	ადმინისტრატ

ავირჩიოთ დაეხუროთ


ეკრანზე იხილავთ ჩამონერილი ოპერაციების სიას. ჩვენს შემთხვევაში აირჩიეთ ერთ ერთი ოპერაცია და დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“.




როგორც ხედავთ ოპერაციაში „ბალანსგარეშე ანგარიშებზე მცირეფასიანი საგნების გადატანა“ ველები: თარიღი, დოკუმენტის ნომერი და ღირებულების ცენტრი ავტომატურად შეივსო ჩამონერის ოპერაციიდან. სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ შეცვალოთ აღნიშნული ველები და მიუთითოთ თქვენთვის სასურველი კომენტარი. ჩვენს შემთხვევაში დავტოვოთ უცვლელი და ოპერაციის გასაგრძელებლად დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“



ეკრანზე აისახა ჩამონერის ოპერაციაში არსებული საგანი რაოდენობით და თვითღირებულებით. ველში ბალანსგარეშე ანგარიში უნდა მიუთითოთ ის ანგარიში, სადაც უნდა გადავიდეს ჩამონერილი მცირეფასიანი საგანი. ამისათვის სვეტში „ბალანსგარეშე ანგარიში“ მოვნიშნოთ ჩანაწერი (სიაში თუ იქნება საგნების ჩამონათვალი შეგიძლიათ მონიშნოთ სასურველი საგნები კლავიატურაზე ctr ღილაკისა და ჩანაწერებზე მაუსის დაჭერით) და ავირჩიოთ კორექტირების ღილაკი ან დავაჭიროთ F2-ს. გააქტიურებულ ველში დააჭირეთ ღილაკს [...].




ეკრანზე იხილავთ ანგარიშთა გეგმას, რომელიც გაფილტრულია ბალანსგარეშე ანგარიშებით. ჩვენს შემთხვევაში აირჩიეთ B2 და დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“. თქვენს მიერ არჩეული ანგარიში მიეთითება მონიშნულ საგანს.




სიაში საგნების ჩამონათვალის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ სხვადასხვა ჩანაწერს მიუთითოთ სხვადასხვა ბალანსგარეშე ანგარიში. ოპერაციის დასრულების შემდეგ თქვენს მიერ არჩეული ბალანსგარეშე ანგარიშის ქვეშ გაიხსნება საგნის ქვე ანგარიში.

ღილაკით „გავადუბლიროთ მონიშნული ჩანაწერები“ შეგიძლიათ გაადუბლიროთ მონიშნული საგანი ყველა მითითებული მონაცემით. ეს ღილაკი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საგანი ჩამოწერილია 1-ზე მეტი რაოდენობით და გსურთ თითო-თითო რაოდენობით გადაიტანოთ სხვადასხვა ბალანსგარეშე ანგარიშზე. ასეთ შემთხვევაში გაადუბლირეთ ჩანაწერი და შეუცვალეთ რაოდენობა და თანხა.

ოპერაციის დასასრულებლად დააჭირეთ ღილაკს „დასასრული“. სისტემა შეასრულებს ბალანსგარეშე ანგარიშებზე მცირეფასიანი საგნების გადატანის ოპერაციას. მაკრო ოპერაციების ქვედა ეკრანში შეგიძლიათ ნახოთ თქვენს მიერ შესრულებული ოპერაცია.



ოპერაციაზე მუშის ორჯერ დაჭერით იხილავთ ოპერაციის კორექტირების ეკრანს:



ეხლა ვნახოთ როგორ აისახა ნაშთებზე ოპერაციის შედეგები. ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/შედეგები/ნაშთები“

